დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

რაინდი როდონაია

წევრ(ებ)ი:

მაგდა მიქაბერიძე

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

[1]**შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციოკოდი	200007679

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, გურამიშვილის ქ. N14ა
საფოსტო ინდექსი	0180
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi141@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N462177, 21/04/2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 21 აპრილის N462177 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე) და მაგდა მიქაბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა" და "დ" პუნქტების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება სსიპ-ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი). წარმოების ფარგლებში სკოლამ უზრუნველყო სტანდარტის შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1200	902

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებულ ხარვეზს, დაეთანხმა და წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულება. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი მტკიცებულება მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ცვლილება ასახა დასკვნაში და სტანდარტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია ხედვაში ასახული იყოს სკოლის საშუალო ან გრძელვადიანი მიზნები, მომავლის ხედვა და არ იყოს ფორმულირებული, როგორც არსებულის აღწერა.
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სასურველია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არ იყოს განსაზღვრული მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების ვალდებულება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია სკოლამ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებ მიზნით ჩაატაროს კვლევა, რა ტიპის დაწესებულებებ ჩაირიცხნენ მისი კურსდამთავრებულები, დასაქმდნენ თუ ა შესწავლილი პროფესიის მიხედვით და ა.შ. მიღებულ ინფორმაციის საფუძველზე შეაფასოს, მის მიე

		განხორციელებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერ დაგეგმვის პროგრამა იყო თუ არა შედეგიანი და ნაკლოვანებებ აღმოჩენის შემთხვევაში გააუმჯობესოს იგი.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვ სსაკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიაში ცენტრალური აქცენტები ემთხვევა დემოკრატიული ღირებულებებისა და პატრიოტული გრძნობების ჩამოყალიბების მიზანს, პირდაპირ ასახავს ადამიანის უფლებებისა და ტოლერანტობის დაცვის პრინციპებს, შეესაბამება თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარების მაქსიმალურ ასახვას, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობის აუცილებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა გამოხატავს არასამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებს, არამედ რიგი პუნქტები წარმოადგენს უკვე არსებულის აღწერას. ხედვა უნდა წარმოადგენდეს მომავლის სურათს, დანიშნულების ადგილს, თუ სად უნდა იყოს დაწესებულება გარკვეული პერიოდის შემდგომ. ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რჩევა ხედვის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, თუმცა სკოლას ხედვა ჯერ არ შეუცვლია. **რჩევა:** სასურველია ხედვაში ასახული იყოს სკოლის საშუალო ან გრძელვადიანი მიზნები, მომავლის ხედვა და არ იყოს ფორმულირებული როგორც არსებულის აღწერა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   სკოლის მისიასა და ხედვაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ სკოლა ქმნის უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცეს, რომელშიც დაცული და გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესი, საჭიროება, შესაძლებლობები და შექნილია გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს

სასკოლო საზოგადოების წევრებს მაქსიმალურად ჩაერთონ სასკოლო კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. პროცესი დაიწყო 2023 წელს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფით, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა სასკოლო საზოგადოების აზრის შესასწავლად. სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი შეთანხმდა სამეურვეო საბჭოსთან, თუმცა არ დამტკიცებულა. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობა ამ ნაწილში შესაბამისობაში არ მოდის მეთოდოლოგიის დოკუმენტთან, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ უნდა იხელმძღვანელოს პროცესის წარმართვისას. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ არცერთი კანონქვემდებარე აქტი არ ავალდებულებს დაწესებულებას დაამტკიცოს მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი, შესაძლებელია მეთოდოლოგიის შეცვლა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა და შემუშავებული დოკუმენტის გაზიარება, ხოლო დამტკიცების ვალდებულება არ იყოს განსაზღვრული მეთოდოლოგიით. ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რჩევა, რომ სკოლამ მეთოდოლოგიის დოკუმენტში მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებასთან დაკავშირებული პროცესი გახადოს მოქნილი ინდიკატორის აღწერის შესაბამისად, თუმცა სკოლას ამ ეტაპზე ცვლილებება არ აქვს განხორციელებული. **რჩევა:** სასურველია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არ იყოს განსაზღვრული მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების ვალდებულება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დაწესებულების მიერ შემუშავებული მისიის, ხედვის და ღირებულებების გაცნობა მოხდა სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის 2023 წლის 28 სექტემბერს, რაც დასტურდება კიდეც სამეურვეო საბჭოს N11 ოქმით. ამ პროცესს წინ უსწრებდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და წარმოდგენილი იქნა 2023 წლის 27 სექტემბრის N1 ოქმი. დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც სამეურვეო საბჭომ შეითანხმა 2023 წლის 24 სექტემბრის N16 სხდომაზე, ხოლო პედაგოგიურმა საბჭომ დაამტკიცა ამავე დღეს N7 სხდომაზე. დაწესებულებამ სკოლის მისია, ხედვა და

ღირებულებები განათავსა საინფორმაციო დაფასა და სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად ის ხელმისაწვდომია, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, ამავდროულად მათი გაცნობა მოხდა მოსწავლეებისთვის სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება „სსიპ-ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
სკოლის ვებგვერდი;
ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი
სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლას შემუშავებული აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია". მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის ძირითად ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებს და პროცესში ჩართულ მხარეებს (დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლე, მშობელი). მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ დაგეგმვა არის თანამონაწილეობითი პროცესი და შეიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ეს უზრუნველყოფილია სამუშაო ჯგუფის ფორმატში მუშაობით, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანებით და ინფორმაციის შეგროვებით სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2023-2030 წლების პერიოდს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დეტალურად ახდენს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და შეიცავს მისიასთან თავსებად ისეთ მიზნებს, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ასევე შეიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს სკოლას დასახული მიზნების განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და შემდეგ დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენება სახსრების მოსაზიდად, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმა მომზადებულია ერთწლიანი პერიოდით სტრატეგიული მიზნების მხარდასაჭერად და იგი შეიცავს თითოეული მიზნისთვის განსაზღვრულ შესაბამის ამოცანებსა და აქტივობებს, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებს ან სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე საჭირო რესურსებს. ამასთან, რესურსების უზრუნველყოფა ეფუძნება სკოლის რეალურ შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების რეალისტურობას, დაგეგმვის ხარისხს და პროცესის გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
პედაგოგიური საბჭოს ოქმი
სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის განხილვა-დამტკიცებაზე

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მეთოდოლოგია ("მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია") მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგის პროცესი განისაზღვრება, როგორც მონაცემების შეგროვება

გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებისთან დაკავშირებით, ხოლო შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ-ივნისში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება მოქმედების პერიოდში ორჯერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირები (მათ შორის, მასწავლებლები და ადმინისტრაცია) წერილობით ანგარიშს წარადგენენ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან შესრულებული სამუშაოს შესახებ. ტარდება გაერთიანებული შეხვედრა, რომელზეც თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი ("შესრულდა", "ნაწილობრივ შესრულდა", "არ შესრულდა"). მონაცემების შეგროვება მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, რაც აკავშირებს მონიტორინგის პროცესს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირთან. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ დამტკიცებული ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე. ანგარიშები ფორმდება ნარატიული ფორმით და შესაძლებელია შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შევსებული მექანიზმი. თუმცა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში არ იყო გამოქვეყნებული ვებგვერდზე და შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი მისი საჯაროობა. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ

პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების შედეგები უშუალოდ გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგად გამოვლენილი ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, ინიცირება ხდება სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის გზით, ეს უზრუნველყოფს პროცესების ციკლურობას, სადაც ერთი წლის შედეგები საფუძვლად ედება მომავალი პერიოდის დაგეგმვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედეგების მონიტორინგი
ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას სკოლა ახორციელებს შინაგანაწესის, ,,მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების“, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით. ბრძანებაში ,,მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“, აღწერილია მოსწავლისა და მშობლის უფლებები, ასევე მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესი და პროცედურები. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც აღწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც მიუთითებს, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გამჭვირვალე სასკოლო რეგულაციები, რომლებიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე. კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებზე მშობელებს და მოსწავლეებს აცნობენ შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ. მოსწავლის მობილობის ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, სასწავლო და დასვენების, ასევე უქმე დღეების შესახებ ინფორმაცია, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმები". ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ", ,,მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ", ,,მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ" და ,,მობილობის შესახებ" სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასკოლო სასწავლო გეგმას და შინაგანაწესში განსაზღვრულია სკოლის მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გავრცელება ძირითადად ხდება სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

   სკოლა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ძირითადად ვებგვერდის, ელფოსტისა და სოციალური ქსელების საშუალებით, ინფორმაციის გავრცელება ასევე ხდება დამრიგებლების მიერ მშობლებთან შეხვედრების დროს. ინფორმაციის გავრცელების დროს სკოლა ზრუნავს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად არის განახლებული, ყველა დაინტერესებული პირისთვის გასაგები და თანაბრად ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი

მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე

ბრძანება მოსწავლის მობილობის თაობაზე

ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე

ბრძანება მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლაში და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. ბრძანება შეიცავს პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრულ ღონისძიებებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციას. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს მრავალფეროვან სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, იგეგმება ვიზიტი სკოლაში, ათვალიერებენ

სკოლის ინფრასტრუქტურას, დამრიგებელი აცნობს მათ სკოლის სპეციფიკას და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეს ექმნება ყველანაირი პირობა, რათა მისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ახალ გარემოში ყოფნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი", სადაც განსაზღვრულია პირველკლასელთა ადაპტაცია. სკოლა წესის შესაბამისად სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნველყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (საკლასო ოთახების, სააქტო დარბაზის, სპორტული ოთახის, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას), სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და ინდივიდუალურად უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები. მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ჩატარებულ საშემოდგომო გამოცდებზე სკოლამ აამოქმედა რემედიაციის პროგრამა და დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შესთავაზა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო გარკვეული პრობლემები და ჩამორჩენა ჰქონდათ სწავლაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ, ხოლო მშობლებს სემესტრული გამოცდებისა და მობილობის შესახებ. სკოლაში ექსტერნატის გამოცდების ჩატარებისა და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე და სოციალური ქსელის საშუალებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას ჰყავს აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელმაც მიმდინარე სასწავლო წელს განახორციელა არაერთი სამოქალაქო, საგანმანათლებლო და სპორტული ინიციატივა, რომელიც მიმართული იყო მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებასა და ჯანსაღი სასკოლო გარემოს შექმნისკენ. თვითმმართველობის მიერ ადმინისტრაციის მხარდაჭერით განხორციელდა საქველმოქმედო ღონისძიება იმ ბავშვებისთვის, რომლებიც იმყოფებიან თავშესაფრებში. მათთვის შეგროვდა ტანსაცმელი, საკვები, სათამაშოები და სხვადასხვა ჰიგიენური ნივთები. ასევე თვითმმართველობის ინიციატივით შეგროვდა მაკულატურა და მისი ჩაბარების სანაცვლოდ სკოლის ბიბლიოთეკისთვის შეიძინეს წიგნები. თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის გარკვეული პრაქტიკა, რომელსაც იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან.

მაგალითად, მშობელთა კრების სხდომებზე განიხილება სკოლისთვის აქტუალური საკითხები, რომელთა გათვალისწინება ხდება სკოლის შემდგომ საქმიანობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო სასწავლო გეგმა
რემედიაციის პროგრამა
შემაჯამებლის ანალიზი
სამოქმედო გეგმა
თვითმმართველობის ოქმები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ზრუნავს, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვისა და შემდეგში შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს პროფესიული უნარების სწორად განსაზღვრაში. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან, ხშირად ტარდება შეხვედრები, სადაც კოლეჯების წარმომადგენლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიების შესახებ. კლასის დამრიგებლებთან ერთად მოსწავლეები სტუმრობენ პროფესიულ კოლეჯებს და ადგილზე ეცნობიან მათთვის საინტერესო პროფესიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ მშობლებთან შეხვედრებს, სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა ხშირად ტარდება სხვადასხვა მიმართულებით კვლევები კითხვარების საშუალებით. სადამრიგებლო პროგრამის მეშვეობით, მოსწავლეებს ხელი ეწყობათ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენაში, ისინი ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. სკოლა აღნიშნულით დაეხმარება მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში. სკოლა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მუდმივად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა სასწავლებლების შესახებ. **რჩევა:** სასურველია სკოლამ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩაატაროს კვლევა, რა ტიპის დაწესებულებებში ჩაირიცხნენ მისი კურსდამთავრებულები, დასაქმდნენ თუ არა შესწავლილი პროფესიის მიხედვით და ა.შ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეაფასოს, მის მიერ განხორციელებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა იყო თუ არა შედეგიანი და ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში გააუმჯობესოს იგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მემორანდუმები
კითხვარი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობით, რომლის მონიტორინგიც სასწავლო წლის ბოლოს შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ხორციელდება. სსსმ მოსწავლეებს ემსახურებიან სპეციალური მასწავლებლები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. დირექტორის ბრძანებით ინდივიდუალური

სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მშობლის, კონკრეტული მოსწავლის მასწავლებლების, დამრიგებელის, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისგან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია

ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ისგ გეგმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით იჯარით გაცემული აქვს ფართი ცეკვისა და კალათბურთის წრეების ფუნქციონირებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში ცეკვისა და კალათბურთების წრეების ფუნქციონირებისთვის იჯარით გაცემულია ფართი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი

სამინისტროს თანხმობის წერილი

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი

იჯარის ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 05/06/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ოდონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: